> მიუხედავად ადამიანის ბედისა დედამიწაზე, მიუხედავად სატანის მზაკვრობის და უღმერთოთა წინააღმდეგობისა, და ბოლო ჟამს ჭეშმარიტებისგან და ქრისტეს სიყვარულისგან განდგომილებისა – ცათა სასუფეველი მაინც შეივსება... ხოლო იმისთვის, რომ შეივსოს ცათა სასუფეველი, ღმერთი მრავალ მონანულ ცოდვილს განწმენდს და გარდაქმნის. ღმერთი ყველას უხმობს და ყველას ელის. საუკუნეების მანძილზე ბევრნი, ძალიან ბევრნი მივიდნენ მასთან და კიდევ ბევრი მივა. ეს დიდებული კრება იქნება, აურაცხელი ერით – როგორც ქვიშაა უთვალავი ზღვაში. ღვთის დიდი მესაიდუმლე იოანე ასე აღწერს ამ კრებას: *„და შემდგომად ამისა ვიხილე, და აჰა ერი ფრიადი, რომლისა აღრიცხუვად ვერვინ შემძლებელ იყო, ყოველთაგან წარმართთა და ტომთა და ერთა და ენათა, მდგომარენი წინაშე საყდრისა და წინაშე კრავისა, შემოსილნი სამოსლითა სპეტაკითა და ხელთა მათთა აქუნდა ფინიკები”* (გამოცხ. 7, 9).

> წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი.

შუაღამე იდგა.

საბჭოთა არმიის ერთი ნაწილი სასტიკი ბრძოლისთვის ემზადებოდა. სიჩუმეში საყვირის ხმა გაისმა. ეს შეტევაზე გადასვლის ნიშანი იყო. უფრო კი – სიკვდილთან შესახვედრად უხმობდა მეომრებს. საყვირის ხმაზე ჯარისკაცები წამოიშალნენ. მათ შორის იყო ალექსანდრე ზაცეპაც. ალექსანდრესთვის ეს შეტაკება პირველი როდი იყო, მაგრამ ახლა გული სულ სხვაგვარად უცემდა, თვალი სხვას ხედავდა და სიტყვებიც ისეთი მოსდიოდა, აქამდე რომ არ იცოდა და არასოდეს წარმოეთქვა... იმ ღამით, ბრძოლაში გასვლის წინ, ღმერთმა წყალობით მოხედა მას, გონების თვალი აუხილა და გული გაუხსნა; წუთისოფლის ამაოება, სიცრუე და მარადიული ღმერთის დიდებულება უჩვენა. საოცარ სიხარულს და ტკივილს ერთდროულად გრძნობდა. განახლებული გული განცდილს ვეღარ იტევდა. ჯიბეებში საწერ-კალამი და ფურცელი მოიჩხრიკა და წერა დაიწყო. დრო აღარ ჰქონდა. მისი სიცოცხლე მთავრდებოდა. უნდა მოესწრო.

ეს ამბავი მეორე მსოფლიო ომის მძვინვარებისას, 1944 წელს მოხდა. იმ შეტაკებაში თითქმის ყველა დაიღუპა. გამთენიისას, სანიტარულმა ინსპექტორმა, რომელიც დაღუპული მეომრების გვამებს ათვალიერებდა, ერთ-ერთის ფარაჯაში ფრონ-

ტისეულად გაკეცილი სამკუთხა ბარათი ნახა. ჯარისკაცს იგი ფარაჯის გარეთა ჯიბეში ჩაედო, ალბათ იმ განზრახვით, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ბარათს იოლად იპოვნიდ-ნენ. დაღუპული ალექსანდრე ზაცეპა იყო. ბარათზე კი სიცოცხლის ბოლოს, თავის გულში აღმოჩენილი ღმერთისთვის ნათქვამი ეწერა.

მისმინე ღმერთო... ხოცვრთხელ ჩემს ცხოვრებაში
შენთან ხო მისაუბრია, მაგრამ
მინდა ხალხმა მიგიძღვნა.
შენ იცი, ბავშვობიდანვე სულ ამას მეუბნებოდნენ,
რომ შენ ერთ ხარ, და მე სულელმა, ეს დავიჯერე.
შენს ქმნილებათა ერთსაღამოს ვიყავ მყვრეტელი,
და ია, ისმით, ერეტელიდან, ხელოუბნერმა რომ ამიგლიჯა,
მე ვუყურებდი ცვს ვერსკვლავიანს, თავს რომ მეკიდა,
და ამ კიბეზეთ ალეფეებული
მე უკბილ მივხვდი, რა ხაბანელი შეიძლება იყოს ხიკრუე.
ხო ვიკი, ღმერთო, გამიმიწია კი შენს ხელს?
მაგრამ ერთს გეტყვი, შენ მე გამიგებ.
ხაკვირველია, ამ ჯოჯოხეთში
გული გახთა და შეგიკვნა.
ამის გრდა კი ერთგერი მაქვს მე ხათქმელი.
და კიდევ ერთი _ მახსრია, შენ რომ გიხილე.
შუალამისას იერიაშე უნდა წავიდეთ.
ხო მეშინია, შენ ჩვენ გვიყურებ.
მესმის ხაყვირი. წასვლის დრო დადგა.
რა კრიგი იყო ეს, შენთან ყოფნა.
ამასაკ გეტყვი: შენ უწყი თუ რა ხასტიკი იქნება ბრძოლა;
და შეიძლება, რომ დღესვე ისმით შენს კრთან დავდგე...
თუმცა ალბათ მე შენს მეგობარი ხო ვითვლებოდი,
ამრთავ მე ნებას შენთან შემისვლის, როკა კი მოვლ?

მგონი ვფიქრობდი... ღმერთო, ხომ ხედავ
რაც მიხდა ჩემს თავს _ შენ შეგიყვანი.
მშვიდობით ღმერთო _ მივდივარ, და არ მგონია უკან დავბრუნდე;
უკნურია _ ახლა სიკვდილს არ მეშინია.

„მომიხსენე მე უფალო ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა", – ასეთი გულშემუსვრილებით ითხოვა ავაზაკმა; თავმდაბალმა მთხოვნელმა შეჰღაღადა კაცთმოყვარე ღმერთს; მონამ მეფის ნებას მიანდო, რა აჩუქოს მას, როგორ შეიწყალოს იგი. „მეუფეო, ვერ ვბედავ, რაიმე ვითხოვო". ხედავ? როგორია ვედრება ავაზაკისა, – ამბობს ღირსი ეფრემ ასური, სინანულის მოძღვარი. ახლა კი შეხედე სამეფო ძღვენს: „ამინ, გეტყვი შენ, დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა".

სიცოცხლის ბოლოს ღმერთის აღიარებით, რუსი ჯარისკაცი ალექსანდრე ზაცეპა მონანულ ავაზაკს მიემსგავსა, რომელიც „აღასუბუქნა ბრალთაგან მეცნიერებამან ღმრთისმეტყველებისამან".

„თუმცა აქამდე მე შენს მეგობრად არ ვითვლებოდი, დამრთავ მე ნებას შენთან შემოსვლის, როცა კი მოვალ?" – ამბობს ბოლო წუთებში ალექსანდრე ზაცეპა. და სიკვდილის აღარ ეშინია, რადგან შეიცნო. შეიცნო და მისი სული განათდა. განათდა იმედით, სიყვარულით – ღვთისადმი სიყვარულით, რომელმაც მისი გულიდან სიკვდილის შიში განდევნა.

მინაწერი:

ეს წერილი ფრონტზე ხელიდან ხელში გადადიოდა. იმ ჯოჯოხეთურ დღეებში მრავალი სულისთვის ჭეშმარიტების შეცნობის საწინდარი გახდა და შესაძლოა, დღესაც, ყოველ სულში დაფარულის გასაღები აღმოჩნდეს.

ალექსანდრე ზაცეპას წერილი ამოღებულია ამერიკის ვალაამის საზოგადოების მართლმადიდებლური ჟურნალიდან „რუსკი პალომნიკ" («Русский паломник», 2003 г. №28).

იბეჭდება აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის ლოცვა-კურთხევით.

იოანე ნათლისმცემლის შობის დედათა სავანე.

ჩაკიდული თხემები.